ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №41
გამარტივებული შესყიდვა
("საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტი
შესაბამისად საქართველოს მთავრობის 2023 წლის 11 იანვრის #7 განკარგულების საფუძველზე)
(SMP220004046)
დაფინანსების წყარო 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

ქ. თბილისი **18 იანვარი 2024 წ.**

სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ #4, ტელ: 2436999, საბანკო რეკვიზიტები: ანგ.N GE24NB033010020016502 სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, სკ-204578206), შემდგომში წოდებული "შემსყიდველად", წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის მაია ომიაძეს სახით და **შპს "ჯორჯიან ბიზნეს ენდ პოლითიქალ ინსაით-BPI"** (ს.კ. – 400033806; სს ,,ლიბერთი ბანკი"-ს. ბანკის კოდი: LBRTGE22 ა/ა: GE 81 LB 0113191002710000; ტელეფონი - (995 32)2 230264 ; იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი,გლდანი, 4 მ/რ, კორ.98, ბ.15; ფაქტობრივი მისამართი : ქ.თბილისი, ჭავჭავაძიდ გამზ.,N22 1) შემდგომში წოდებული "მიმწოდებლად", წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **გიორგი აბაშიშვილის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 ,,დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ვებ-გვერდზე www.avianews.ge ინფორმაციის განთავსების მომსახურების შესყიდვა
(CPV – 92400000)

3. ხელშეკრულების ღირებულება და ვადა

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: **3300.00** (სამი ათას სამასი ლარი და 00 თეთრი) **ლარს.** (წლის ბოლომდე ყოველი თვის ღირებულება 300 ლარი.)

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეული ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელი, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3.4 მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს: ეტაპობრივად **2024 წლის 1 თებერვლიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;**

3.5 მომსახურების გაწევის ადგილი: **საქართველო;**

4. მხარეთა მოვალეობები

4.1 **მიმწოდებელი** ვალდებულია:

ა) შემსყიდველის საქმიანობისა და მის მიერ ჩატარებული ღონისძიებების (პრესკონფერენციები, პრეზენტაციები, აქციები და სხვა) შესახებ ანონსების/ინფორმაციების მომზადება და გაშუქება ვებ.გვერდებზე - www.avianews.ge ; www.bpi.ge 2024 წლის მანძილზე.

ბ) შემსყიდველს ყოველდღიურად მიაწოდოს საინფორმაციო ანონსები და ახალი ამბები ელეატრონული ფოსტის მეშვეობით და უზრუნველყოს შემსყიდველის წვდომა ანონსებზე, ახალ ამბებზე და არქივზე.

გ) ყველა სახის ინფორმაცია მიიღოს შემსყიდველისაგან, მხოლოდ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ელქტრონული ფოსტის t.chanchibadze@gnta.ge / a.gochashvili@gnta.ge მეშვეობით;

დ)განიხილოს შემსყიდველის წინადადებები და მონაწილეობა მიიღოს წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტაში;
ე)განახორციელოს შემყიდველის ინფორმაციული უზრუნველყოფა გაწეული მომსახურებისშესახებ;
ვ)განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
4.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა)უზრუნველყოს გაწეული მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის კონტროლი და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისიმიღება;
ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მედია საშულებაში გამოყენებისას მიუთითოს ინფორმაციის წყარო (მიმწოდებლის დასახელება), ხოლო ინტერნეტმედია საშუალებაში გამოყენებისას მიუთითოს ინფოამაციის წყარო (მიმწოდებლის დასახელება), მასზე გააქტიურებული ელექტრონული ბმულით, რომელიც მკითხველს გადაიყვანს მიმწოდებლის ვებ.გვერდზე.
გ)განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
დ) შემსყიდველი ვალდებულია სრულად აითვისოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების რაოდენობა, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ვერ უზრუნველყოფს მომსახურების სრულად ათვისებას აღნიშნული გავლენას არ იქონიებს მე-3 მუხლით გათვალისწინებული თანხის ოდენობაზე და იგი ვალდებულია სრულად განახორციელოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან.
4.3.მიმწოდებელს უფლება აქვს უარი თქვას მომსახურების გაწევაზე თუ შემსყიდველის მიერ მიწოდებული ინფორმაცია/ახალი ამბავი იქნება არაკორექტული, არაეთიკური ან/და მესამე პირთა შეურაცხმყოფელი ინფორმაციის შემცვალი.

5. ხარისხი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულები სშესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
6.2 ინსპექტირებას განახორციელებს: **საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი ანა გოჩაშვილი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.**
6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია, პერიოდულად ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება ხარვეზი გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ წერილობით დადგენილ ვადებში გამოასწოროს ხარვეზი, ხოლო თუ მიმწოდებელი ვერ შეძლებს ხარვეზის გამოსწორებას და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

7. მომსახურებისმიღება-ჩაბარებისწესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს, ყოველთვიურად, მიღება-ჩაბარების აქტების სახით. მიღება-ჩაბარების აქტებიფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლება მოსილი წარმომადგენლების ხელისმოწერით, ინსპექტირებისგანმახორციელებელიპირის/პირებისანგარიშის საფუძველზე.
7.2 მომსახურებისმიღებასაწარმოებს:**საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი ანა გოჩაშვილი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.**

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი.
8.2 ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
8.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების (დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში) წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდაგაუგზავნოს მეორე მხარეს

წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო მოკლე ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიანხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდაგაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულებისპირობებისშეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.07%-**ის ოდენობით.
10.2 იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი დაარღვევს ხელშეკრულებით გატვალისწინებულ ვალდებულებებს მიმწოდებელს უფლება აქვს დააკისროს მას პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.შემთხვ.
10.3 თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაშიცვლილებებისშეტანა

11.1 ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.
12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან **5 (ხუთი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებთ მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება **ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ელექტრონული დოკუმენტის სახით ქართულ ენაზე, როგორც შემსყიდველისათვის, ასევე მიმწოდებლისთვის.

17. მხარეთარეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ საქართველოსტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია **მისამართი:** ქ. თბილისი, სანაპირის ქ#4 **ტელეფონი:**2436999 **საბანკო რეკვიზიტები**: ანგ.GE24N13033010020016502, სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESDE22, ს/კ-20457820	**შპს "ჯორჯიან ბიზნეს ენდ პოლითიქალ ინსაით-BPI"** ს.კ. – 400033806 სს ,,ლიბერთი ბანკი"-ს. ბანკის კოდი: LBRTGE22 ა/ა: GE 81 LB 0113191002710000 ტელეფონი - (995 32)2 230264 იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი,გლდანი, 4 მ/რ, კორ.98, ბ.15; ფაქტობრივი მისამართი : ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.,N22
ხელმძღვანელი	**გენერალური დირექტორი**
მაია ომიაძე	**გიორგი აბაშიშვილი** Giorgi Abashishvili Digitally signed by Giorgi Abashishvili